სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/107

ქ. თბილისი 17 აპრილი 2018

**პროგრამის მოდიფიცირების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფ. ი. ლომიძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის №7 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. გ. არაბიძის მოთხოვნა პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საწარმოო და სერვისულ სისტემათა ინჟინერინგზე" გამოცხადებული 15 ვაკანსია დაემატოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო მენეჯმენტს". ეთხოვოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დააკმაყოფილოს აღნიშნული ცვლილება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**